

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13(75) 2014 წ. 1-15 ივლისი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გვირიშვილი



დაიბადა 1975 წლის 11 თებერვალს, თბილისში. დაამთავრა თბილისის №90 საშუალო სკოლა და 1992 წელს ჩაირიცხა და-მოუკიდებელ უნივერსიტეტ „ლეგიაში“.

არის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. 1995-1996 წლებში სტაჟირება გაიარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1998 წელს იყო სარეკლამო კომპანია AD CORPORATION-ის გარე რეკლამისა და მასმედის მენეჯერი. 2000-2006 წლებში ჩართული იყო ქართულ-გერმანულ არქეოლოგიურ პროექტში („ტროა-უდაბნო“). იმავდროულად მუშაობდა კახეთის არქეოლოგიურ კვლევით ცენტრში მეცნიერ მუშაკად. 2006 წლიდან გადავიდა ბიზნესსექტორში და ეწეოდა კერძო ბიზნესსაქმიანობას. 2012 წლის 1 ნოემბრიდან 2014 წლის 13 მაისამდე იყო MSI-ის (Management Systems internacional USAID-ის კონტრაქტორი) დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორის მოადგილე. 2009 წლიდან დღემდე აიპ „სათავის“ სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის ტექნიკური მენეჯერია. ჰყავს მეუღლე – ნინო ბაირამაშვილი, ექიმი-კარდიოლოგი.

საგარეჯოს თავმჯდომარე ფრიდონ გურდული



დაიბადა ქ. საგარეჯოში 1960 წლის 21 აგვისტოს. 1977 წელს დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1983 წელს. 1983-85 წლებში იყო კლინიკური ორდინატორი თბილისის კარდიოლოგიის კვლევით ინსტიტუტში. 1985-1989 წლებში თბილისის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტია. 1989 წლიდან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და კარდიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია. 1996-2012 წლებში შპს „კარდიო-ექსპრესის“ ექიმი კარდიოლოგი. 2004-2012 წლებში შპს „ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალის“ ექიმი კარდიოლოგი. 2012 წლის მაის-ივნისში შპს „თე“-ს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმძღვანელია. 2014 წლის იანვრიდან შპს „ჯეოპოსპიტალის“-ის საგარეჯოს მულტიპროფილური კლინიკის ექიმი-კარდიოლოგი, გამოსცემული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი. ჰყავს მეუღლე – ნანა ლაფანიშვილი, პროფესიით ექიმი და ორი შვილი.

საგარეჯოს თავმჯდომარის მოადგილე ციხმარ თედიაშვილი



დაიბადა 1978 წელს 1996-2001 წლებში სწავლობდა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა პროგრამისტის, მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია. 2000-2001 წლებში მუშაობდა კომპიუტერის შემსწავლელ ცენტრ „გამა“-ში პროგრამისტის შემსწავლელ კურსების პედაგოგად. 2002-2004 წლებში საგარეჯოს მრავალდარგოვანი კოლეჯის „გოცი“-ს კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელია. 2002-2008 წლებში საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯის ინფორმატიკის პედაგოგი. 2004-2008 წლებში საგარეჯოს პროფესიული სასწავლებლის ინფორმატიკის პედაგოგი. 2006-2007 წლებში საგარეჯოს II საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერია. 2007-2009 წლებში საპროექტო ფორმა „მოდული“-ს პროექტების აწარმოებისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტია. 2009-2010 წლებში გლობალური ბიზნესის განვითარების ცენტრის პროექტის კოორდინატორია. 2010 წლიდან 2012 წლის 5 დეკემბრამდე მუშაობდა შპს „სიგულდა“-ში ვიდეო სტუდიის მთავარ მენეჯერად. 2012 წლის 5 დეკემბრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეა. ჰყავს მეუღლე – ზურაბ კაკალაშვილი, ბიზნესმენი.

#11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2014 წლის 15 ივნისს ადგილობრივი მმართველობის არჩევნებით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროპორციული სისტემით არჩეული წევრები

| | | |
|----|------------------------|---------------------------------|
| 1 | ციხმარ თედიაშვილი | ქართული ოცნება |
| 2 | ივანე ქვრივიშვილი | ქართული ოცნება |
| 3 | გონა ჩერქეზიშვილი | ქართული ოცნება |
| 4 | გიორგი კაკუტაშვილი | ქართული ოცნება |
| 5 | ალექსანდრე მეზერიშვილი | ქართული ოცნება |
| 6 | მანანა ტაბატაძე | ქართული ოცნება |
| 7 | მეგლუდი დუჩიძე | ქართული ოცნება |
| 8 | ნიკოლოზი ვაჭრისშვილი | ქართული ოცნება |
| 9 | ნინო დალაქიშვილი | ქართული ოცნება |
| 10 | ზურაბ ჭიბურაშვილი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 11 | ნიკოლოზ ნაცვლიშვილი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | ამირან სონიშვილი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 13 | ზურაბ ქურთიშვილი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 14 | ვეფხია ჩერქეზიშვილი | ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია |
| 15 | ჭაბუკა ჭანტურია | საქართველოს პატრიოტთა ალიანსი |

პროპორციული სისტემით არჩეული წევრები

| | | | |
|---|-----------------------|--------------|---------------------------------|
| 1 | დავით არაბული | გომბორი | ქართული ოცნება |
| 2 | გონა მისრიაშვილი | კოჭბაანი | ქართული ოცნება |
| 3 | კონსტანტინე დოდელიანი | უჯარმა | დამოუკიდებელი |
| 4 | ვანო ქარუმიძე | საშმი | ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია |
| 5 | გიორგი ჭინჭარაძე | პატარძელი | ქართული ოცნება |
| 6 | ელდარ მეფარიძე | ნინოწმინდა | ქართული ოცნება |
| 7 | ფრიდონ ბურდული | საგარეჯო | ქართული ოცნება |
| 8 | ივანე ბუქიაშვილი | გიორგიწმინდა | ქართული ოცნება |
| 9 | ინგა დვალაშვილი | სათაფლე | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |

| | | | |
|----|-----------------------|------------|----------------|
| 10 | ნონა ბუზარიაშვილი | თოხლიაური | ქართული ოცნება |
| 11 | ნიკო გიუაშვილი | მანავი | დამოუკიდებელი |
| 12 | ბესიკ მარტიაშვილი | ჩაილური | ქართული ოცნება |
| 13 | თამარი სუხიაშვილი | კაკაბეთი | ქართული ოცნება |
| 14 | კახა აღუაშვილი | ყანდაურა | ქართული ოცნება |
| 15 | სოსო ჭიკაძე | მზისგული | ქართული ოცნება |
| 16 | თამაზი ხურთაშვილი | შიბლიანი | ქართული ოცნება |
| 17 | გულუ ჰაჯიევი | იორმუღანლო | ქართული ოცნება |
| 18 | კახანფარ მამედოვი | ღამბალო | დამოუკიდებელი |
| 19 | ფადირხან ხეირხაბაროვი | თულარი | დამოუკიდებელი |
| 20 | ხაილ გასანოვი | დუზაგარამა | ქართული ოცნება |
| 21 | ალექსი იოსელიანი | უდაბნო | ქართული ოცნება |

სოფლის მეურნეობა

ზაფხულია. დღის წყაროებით და ჩვენებური მევენახის გასახარად, როგორც შარშან, კარგად დაიწყებულა და უხვად მოიხსნა ვაზმა. მნახველის თვალს ახარებს ზურმუხტისფრად უხვად დამტკეპნილი ვაზები. კიდევ ერთი, თვენახევარი და მტკეპანზე მარცვლები დასრულდება, ზურმუხტისფერს ნელ-ნელა ქარვისა და გიშრისფერი ჩაენაცვლება და ფერთაცვალეობაში შემოდგომაც მოგვადგება - ვაზის ქორწილისა და რთვლის, გარეკახელი მევენახის იმედების ახდენის დრო. უხვი მოსავლისა და იმედების მოლოდინი კი მართლაც უნდა ჰქონდეთ მევენახეებს. ეს გაზაფხული-ზაფხული ჯერჯერობით მათთვის ხელსაყრელი - ვენახის ამინდებით მიდის. ამიტომ წინა წლებისაგან განსხვავებით წელს იმდენი შრომა და გარჯის გაწევა აღარ მოუწევთ ვაზის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. საქმეში ჩახედული ადამიანების განცხადებით წელს რქაწითელს, მწვანესა და საფერავს 3-4-ჯერ დასჭირდა წამლობა, მაშინ, როცა შარშან ამ პერიოდისათვის 5-ჯერ ჰქონდათ წამლობა ჩატარებული.

ვენახებს და მოსავალს არც ისინი უჩივიან, ვინც ეს ოპერაციები ორჯერ ჩატარაო. ვისაც უნდა ისე გაიგოს, მაგრამ ყველაზე დიდი იმედი და რწმენა ჩვენს მევენახეებს მაინც იმ დონისიძიებებმა გაუჩინა, რომლებსაც ქვეყნის ამაჟამინდელი მთავრობა ახორციელებს მევენახეთა დასახმარებლად ხელისუფლებაში თავისი მოსვლის დღიდან. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შარშან დარიგებული ნომინალური ბარათების (რომელთა მეშვეობითაც მევენახეებმა უსასყიდლოდ შეიძინეს ვენახების შსამქიმიკატები) ყურძენზე ფასების მომატებითა და ყურძნის პირველად გადამამუშავებელ ქარხნებში ჩაბარებაში ხელშეწყობით

პენსია

ვაზთან ერთად ქართველი მევენახის იმედებიც იმტკეპნება



ძირეულად შეცვალა ჩვენი გლეხბატონის ვენახისადმი დამოკიდებულება და ეკონომიკური მდგომარეობა. ხომ ფაქტია, რომ თუ წინა წლებში ყურძენზე, განსაკუთრებით კი საფერავზე დაბალი ფასებისა და მისი ჩაბარებაში არსებული პრობლემების გამო თვალის ვენახების გაჩეხვაზე და სხვა შემოსავლიანი კულტურების გაშენებაზე გვირბოდა, ვაზის ასახეხად აღესილი იარაღი მევენახემ გვერდზე გადადო და მის მაგივრად ახალი ვენახების გაშენებაზე დაიწყო ზრუნვა. თვით ისეთებმაც კი, ვისაც საერთოდ არ უნდოდა ვენახისკენ გახედვა საქართველოს სოფლის მეურ-

ნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის მასალებზე დაყრდნობით, თუ შარშან 2014 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე აღრიცხული იყო 4140 ჰა ვენახი, ამ გაზაფხულზე ეს ფართობები კიდევ 150 ჰექტარი ახალშენით გაიზარდა. უმთავრესი აქცენტი, როგორც აღრეც მოხდა, „საფერავზე“, როგორც ძვირადღირებულ ჯიშზე გაკეთდა. ამის გამო წლიანი ნერგის ფასმა 1.50-დან 2.50 ლარამდეც კი აიწია და მისი დეფიციტის გამო ხალხმა რქა ჩაყარა. ცხადია, მსხმოიარე ვენახთან ერთად ისინი მზრუნველობასა და

სოფლის მეურნეობა

ყურადღებას არ მოაკლებენ ამ ახალშენებსაც, თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცად წყაროს.

რაც შეეხება მსხმოიარე ვენახებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წელს ვენახების ამინდია, თუ არ ჩავთვლით გაზაფხულის პირველ წყინვების გამო ზოგიერთ სოფელში კვირტების ჩაყარვას, რაიმე სერიოზული პრობლემა ვენახების მოვლაში არ შექმნილა. ცოტა მეტი საზრუნავი გაუჩნდათ ე.წ. თეთრი ჰიბრიდული ჯიშის ვაზის მეპატრონეებს შავი, წერტილოვანი დაავადებებით, რის გამოც უფრო მეტჯერ 7-8-ჯერ დასჭირდათ მათი შსამქიმიკატებით დამუშავება. საერთო ჯამში, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, დღესდღეობით ვენახებში საგანგაშო არაფერია და თუ ბუნებამ „ზემოდანაც არ უმტყუნა“, წელსაც კარგ მოსავალს მოელოან. შეგახსენებთ, რომ შარშან მუნიციპალიტეტში მთლიანად წარმოებული იყო 17400 ტონა ყველა ჯიშის ყურძენი, საიდანაც მარტო ყურძნის მიმღებ ქარხნებს 8967 ტონაზე მეტი ყურძენი ჩაბარდა, დანარჩენს კი სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე გაუკეთდა რეალიზაცია ან მოსახლეობამ საკუთარ მარნებში დაწურა. აღსანიშნავია ისიც, რომ შარშან ზოგიერთმა მევენახემ 50-60 ტონა საფერავი ჩააბარა დენის ქარხნებს და საგრძობლად გაიუმჯობესა ეკონომიური მდგომარეობა. ცხადია, ასეთებს სხვებთან შედარებით მეტი შანსიც გაუჩნდათ ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად და წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დასანერგად, რაც კიდევ უფრო გაუადვილებს მათ შრომას, საგრძობლად შეამცირებს ეკონომიურ დანახარჯებს და უფრო მეტ მოგებას მოუტანთ მომავალში.

ვნახოთ, რას გვიმზადებს ბუნება და როგორი იქნება მომავალი „თრეფლი - 2014“

უპრემია დასახმარებლად

მს სკოლა ნინოწმინდის ყოფილი რეაქციონი სკოლის შენობაშია განთავსებული და როგორც სახელწოდებაც მიუთითებს, მის ძირითად მიზანს აკაუროს მოსახლეობისათვის ფერმერულ მეურნეობაში მუშაობის გამოცდილების სწავლება წარმოადგენს. საეპარქიო სოფელში ამ სკოლის დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს საპატრიარქოს ფონდი „ლაზარუსი“, რომლის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს შვეიცარიული ორგანიზაცია HEKS EPER-ი. როგორც ჩვენთან საუბარში სკოლის მენეჯერმა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დეკანმა ლალი ოთინაშვილმა აღნიშნა, სკოლამ ფუნქციონირება მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო. მანამდე კი აქ გარკვეული სამუშაოები-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებულა, რათა სასწავლებლად მოსულ ბენეფიციარებს სრული წესრიგი დახვედროდა.

დაიხ. სრულ წესრიგში, დამშვენებულ-გალამაზებული დახვდა ფერმერთა სკოლა 25 ივნისს მის პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს. მავთულბადით შემოფარგლულ ეზოში პატარა ბოსტანში თავს იწონებენ გათონილი-დამუშავებული პამიდორის, ჭარხლისა და სტაფილოს ნათესები. ზუსტად ეხიდიბან დაღას ეზოსა და სკოლის აივანზე დადგმულ სკეპში ფურტურები. თანამედროვე დიზაინით გაწყობილ დარბაზში სკოლის მენეჯერი ლალი ოთინაშვილი, რეზო შარაბიძე და სხვა თანამშრომლები მოწვეულ სტუმრებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს ვრცლად ესაუბრნენ იმ სამუშაოთა შესახებ, რაც აქ ჩატარდა სკოლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, გააცნეს მის ძირითადი ამოცანები და პრინციპები, რასაც ეს ფერმერული სკოლა ისახავს მიზნად. კერძოდ, როგორც მათ აღნიშნეს, ეს პროექტი ორწლიანია. აქ მსმენელებად მიიღებიან 16-დან 30 წლამდე ასაკის ნინოწმინდელნი, რომლებსაც შესწავლიან მებოსტნეობისა და მეფუტკრეობის

მოვლა-მოყვანისა და პატრონობის თანამედროვე მეთოდებს კერძო ფერმერულ მეურნეობაში, ამ პროფილის მეურნეობების მოწოდება-გაძღვლის, მათი მართვისა და მარკეტინგის მეთოდებს. სწავლების პირველ წელს ბენეფიციარებს ჩატარდება სპეციალური თეორიული სწავლება, მოწეობა ექსკურსიები დემოფერმებში, ხოლო მეორე წელს უკვე ასწავლიან მათი მარკეტინგისა და მართვის მეთოდებს. სულ სადღესღობითი თითოეულ განხრავს 25-25 მსმენელია. მებოსტნეობის განხრის კურსის ხელმძღვანელია აგრარული უნივერსიტეტის დეკანი ელენე მთიანური, მეფუტკრეობაში - ამავე უნივერ-

სომა დეკანმა ნიკოლოზ მესხიშვილმა. სკოლის პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ საქართველოს წარმომადგენელი სასულიერო პირები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნიკო ჯავახიშვილი, სპეციალისტები: გივი მათიაშვილი, აკაკი დეკანოზიშვილი, გიორგი დვალი, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მანანა ცუცქერიძე, ნინოწმინდის საჯარო სკოლის პედაგოგები, სოფლის რწმუნებული ელდარ მეფარიძე, საპატრიარქოს ფონდი „ლაზარუსი“ შტაბის წევრები.

სკოლა ნინოწმინდაში

სიტეტის თანამშრომელი ბესარიონ თოფურაძე, ბენეფიციართა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით სკოლას პარტნიორული ურთიერთობები ექნება აგრარული უნივერსიტეტის კაჭრეთის აგრარულ კოლეჯ „აისის“, თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის, „ელკანას“ და ამ ტიპის სხვა სასწავლო დაწესებულებებთან. ნინოწმინდაში ფერმერთა სკოლის პრეზენტაციას ესწრებოდა და მისი მნიშვნელობის, მუშაობის გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებზე ისაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მარიამ გელაშვილმა. მისი განცხადებით, კარგი იქნება თუ თეორიულ სწავლებასთან ერთად მსმენელები გაივლიან პრაქტიკასაც, ასწავლიან ბიზნეს-გეგმის შედგენას, რაიონულ ცენტრში დადასტურებულ თუნდაც პატარა ფარულს მოწვეული პროდუქციის სარეალიზაციოდ. პრეზენტაციას ესწრებოდა და აქ წამოჭრილი საკითხების შესახებ თავისი აზრი გამოთქვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარ-

ბივი მანვერებლების შესახებ მსოფლიოსა და მ.შ. ისრაელში ფართოდ აპრობირებული თანამედროვე მეთოდებისა და ტენოლოგიების შესახებ. თავის მოვალეობიან გამოცდილებასა და მათემატიკურ გათვლებზე დაყრდნობით პინი სარმა მსმენელებს გასაგებად აუხსნა, თუ რამდენად ეკონომიური, მომგებიანია და რისკის მინიმუმამდე შემცირება შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. იგი დამსწრეთ ასევე ვრცლად ესაუბრა და უწევდა ვიდემოსალეები მევენახეობაში გამოყენებული თანამედროვე ტექნიკის შესახებ. ამ მასალების მიხედვით ისრაელსა და მევენახეობის სხვა განვითარებულ ქვეყნებში ვენახების მოვლა-პატრონობის მთლიანი ციკლი - საშემოდგომო სამუშაოებით დაწყებული და ყურძნის მოკრევა-დაბინავებით დამთავრებული, მთლიანად მექანიზებულია, რაც

„ალობა-2014“ ივრისპირეთში



საბარაქოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლისათვის საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესებს მთლიანობაში 7740 ჰექტარზე ჰქონდა საფუტეული ჩაყრილი, აქედან საშემოდგომო ხორბალს - 5690 და საშემოდგომო ქერს - 2055 ჰა-ზე.

გარეკახეთში უკვე კარგა ხანია დაიწყო ალოობა და ისე, როგორც კახეთში ჩვენი მიწათმოქმედებიც თავთავიანების ძალზე დაბალ მოსავალს იღებენ, რაც ნათესების ვებეჭავისის ხანგრძლივი გვაღვების შედეგია.

თვრისპირეთში მიმდინარე ალოობის შედეგებზე უფრო ვრცლად ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში გვექნება საუბარი.

ისრაბრინის სემინარი ქართველი მევენახეობისთვის

26 ივნისს ისრაელის ორგანიზაცია IS-RAGREEN-ის წარმომადგენლობამ საქართველოში საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ქართველი და მათ შორის კახელი მევენახეებისათვის ჩატარა სემინარი ვენახების გაშენების, მათი მოვლის, ყურძნის მოსავლის მიღების, მისი დაცვისა და კრევის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე. ქართველი მევენახეებისათვის ამ საკითხებზე ინფორმაციის მისაწოდებლად საგარეჯოს ეწვივნენ ამ კომპანიის წარმომადგენლების დირექტორი საქართველოში ლევან განჭიჭიძე, მენეჯერი და

მთარგმნელი ქეთევან ნუცუბიძე. ისრაელის ერთ-ერთი მამყვანი სპეციალისტი მევენახეობაში პინი სარი და სარწავია სისტემების წარმომადგენლები. პინი სარი და კომპანიის წარმომადგენლები ვენახების გაშენების თანამედროვე ტექნოლოგიების, სარგავი მასალის ხარისხობრივი მანვერებლების, ნერვის რევის, მწვანე მასის მართვის, საყრდენი სისტემების, მოწვევისა და გამოკვების, ნაყოფის განვითარების, ზომის, შაქრის დაგროვების უნარის, მკაფიანობისა და სხვა ხარისხო-

ბივი მანვერებლების შესახებ მსოფლიოსა და მ.შ. ისრაელში ფართოდ აპრობირებული თანამედროვე მეთოდებისა და ტენოლოგიების შესახებ. თავის მოვალეობიან გამოცდილებასა და მათემატიკურ გათვლებზე დაყრდნობით პინი სარმა მსმენელებს გასაგებად აუხსნა, თუ რამდენად ეკონომიური, მომგებიანია და რისკის მინიმუმამდე შემცირება შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. იგი დამსწრეთ ასევე ვრცლად ესაუბრა და უწევდა ვიდემოსალეები მევენახეობაში გამოყენებული თანამედროვე ტექნიკის შესახებ. ამ მასალების მიხედვით ისრაელსა და მევენახეობის სხვა განვითარებულ ქვეყნებში ვენახების მოვლა-პატრონობის მთლიანი ციკლი - საშემოდგომო სამუშაოებით დაწყებული და ყურძნის მოკრევა-დაბინავებით დამთავრებული, მთლიანად მექანიზებულია, რაც

მევენახეებს დახარჯული დროისა და სახსრების დიდ ეკონომიას უკეთებს. პინი სარმა მსმენელებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია მევენახეობაში გამოყენებული მასალების და ტექნიკის ფასების, ხარისხისა და საიმედოობის შესახებ, პასუხები გასცა სემინარზე წამოჭრილ კითხვებს. ისრაბრინის სემინარს საგარეჯოში ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნიკო ჯავახიშვილი, ამავე სამსახურის სპეციალისტები: გივი მათიაშვილი, აკაკი დეკანოზიშვილი, გივი აბაბეგაშვილი, გიორგი დვალი, საგარეჯოელი მევენახეები.

**გვერდი მოამზადა
ბიძი ლაბახიშვილმა**

პრობლემა

„საგზომლო, მამულის, ეს არის პა-სუსისმგებლობა ჩვენი წინაპრებისა და მორგების წინაშე. როგორ შეიძლება დაივიწყო იმ წინაპრების ღვაწლი, რომელთაც თავი გაწირეს. ეს არის ღვაწლი უფლისა და მართლმადიდებელი ერის წინაშე და უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ, დავიცვათ და სხვადასხვა ბაღავთით მითი დანატოვარად. საბარათმფლობელი ხომ ყოველი ალბი რაღაცას გვახსენებს! საგზომლო პასუსისმგებლობაა. ჩვენს მამა-პაპას იმისათვის არ უღვაწია და დაუძვინებია წმინდა სისხლი, რომ უთარგმანლოა ბუნებრივად დაკარგული შვილები და მათი არაფერია აკეთებდნენ. ჩვენი ისტორია ჩვენი წინაპრების მიერ ჩვენთვის დანატოვარი ანდერძია“, რომელსაც ჩვენც ისევე უნდა მოვუაროთ და მომდევნო თაობას გადავცეთ, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს. დიხ, ასევე გადავცევს მათ ქართველობა, ენა, მამული, სარწმუნოება. უპატრონეს და ჩვენამდე მიიტანეს „ცა-ფორუს, სმელეო-ზურმუხტი“, ის სიმღერა, რითაც ასე ვიწონებთ თავს დღეს არაქართველებისა და საერთოდ მსოფლის წინაშე. დღეს ხომ ყველაფერი „მწარედ“ საბატონებელი გავიხსენებ, მთა-ბარათ, ანკარა წყაროებით გაგრძელებული. შეგახსენებთ, რომ საგარეჯო მხოლოდ ბუნებრივი წყაროების სიუხვით იყო დასახლებული. საგარეჯოს, როგორც დიდიხანავე გამოჩენილი. საგარეჯოს, როგორც დიდიხანავე სახალალოვანი ისტორია აქვს. ტყის მასივებში მცხოვრები მოსახლეობა ურჯულთა თავაწეობა და დაუნდობლობა თარეშმა მოითინადა ამოწვევით. ახალ დასახლებად კი შემდეგში ქართლიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა შეირჩა და ასე განდგა მდინარეების – თვალთხევის, ტიკაიურას და წიფლისხევის შორის არსებულ ადგილებში დასახლებები. მათში სამივე მდინარე წყალუხვი იყო, უხვად გამოედინებოდა ცივი, ანკარა წყაროებიც. საგარეჯო სწორედ ამ წყაროების შესანიშნავი გამოყენებით იყო ცნობილი. მაგრამ შემდგომში წყაროები ვეღარ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნას, ამასთან საგარეჯოს სამხრეთით რკინიგზის ხაზის გაყვანაც დაიწყო, რომელიც ორთქლმანქანების წყლით შევსების გარდა გაზრდიდა მგზავრთა სასმელი წყლისადმი მოთხოვნასაც. და აი, საგარეჯოში ს.ხ. ქურდიანი იწყებს ჯერ საგარეჯოს ჩრდილოეთით ცივწყლისწყლის ქვის კლდეებზე განლაგებული წყაროების გამოკვლევას (1910 წელი) და შემდეგ ამ წყაროებისათვის მიმართულებით მიცემას – მის ე.წ. „სათავისი“ ჩამოყვანას (1914წ.) ბასენში, რისთვისაც დიდი შრომა დასჭირდა და საბოლოოდ სასმელი წყალი მიეწოდა საგარეჯოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს და რკინიგზის სადგურსაც. აი, როგორ ახასიათებს ამ წყაროებს ს.ხ. ქურდიანი თავის საზოგადოებრივ ანგარიშში:

„ცივწყლისწყლის ქვი შედგება ნაღვეი ქანებისაგან, კონგლომერატებისაგან (კირქვა, ქვიშა) კონგლომერატებისაგან შედგენილი ქანების სიძლიერეზე შეიძლება ვიმსჯელოთ ხეების და უფსკრულების დათავადიერების შედეგად. კონგლომერატები შეკრულია კირქვის თიხით, რომელიც ადვილად ირეცხება. ასე, რომ საშიშია ახლოს ყოფნა, რადგან მუდმივად ხდება მათი ჩამოშლა, განსაკუთრებით ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში, როცა კლდეების კიდეები დასველებულია თოვლით ან წვიმისაგან. ცივწყლისწყლის ქვი დაფარულია ტყით (ალპურ ზონაში). ძირითადად აქ გვხვდება ჯაგრცხილა, რცხილა, წიფელი. 2000 მ ზემოთ მთავდება საზოგადოებრივი სასაფლაოები და მდელიები.

ტყის ჩეხვის გამო, რასაც ემატება საქონლის ძოვების შედეგი, იღვიძებენ დენუდაციონური პროცესები, რომლებსაც „ეხინათ“ ტყის დაცვის ქვეშ და იწყება მთების ჩამოშლა, იქმნება ხეები და კლდეები, ამ დროს წყალს მიაქვს დაბლობში მუდმივი წყლის წყაროების ახლოს გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში ჩნდებიან დროებითი წყაროები, რომლებიც შემდეგ აგვისტოს ბოლოსათვის წყდება. ეს თვისება დროებითი წყაროებისთვისაა დამახასიათებელი. აღსანიშნავია ისიც, თუ ცხელი ზაფხულია და ნაღვეი ცოცხალი, წყაროები უფრო წყალუხვი და პირიქით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მთავრობებში იშვიათია ზაფხულის წვიმა. ასეთი წყალუხვი წყარო ცნობილია საგარეჯოს თავში, – მახის წყალი, რომლის წარმოშობა შეიძლება ავხსნათ მიწისქვეშა ორთქლის კონდენსაციით კონგლომერატებში, ან მიწისქვეშა მყინვარების კეების შედეგად. ორთქლის კონდენსაციას ნიადაგში თავისი ისტორია აქვს. ფოლკერის და ბურის თეორიის მიხედვით გრუნტიანი წყალი წარმოიშობა წყლის ორთქლის კონდენსაციით ნიადაგში. პროფესორებმა სპერანსკიმ და კრასნინკოვმა დაადგინეს, რომ წყალქვეშა წყლების წარმოქმნისათვის საჭიროა

სასმელი წყალი – ტყე – „კანარკომ-ჯორჯია“ და საგარეჯოელი


შემდეგი პირობები: 1. პერის დიდი აბსოლუტური ტენიანობა; 2. ნიადაგის დიდი პირობის-კოეფიციენტი; 3. ზედა და ქვედა განსაზღვრული ტემპერატურის დიდი სხვაობა. 4. ზედა შრის ტემპერატურის მერყეობის დიდი ამპლიტუდა; 5. ნიადაგის გამტარუნარიანობა – ზედა გამობარი შრიდან ქვედა შრეში მიმავალი ორთქლის ნიადაგის გამტარუნარიანობა; 6. წყლის კაპილარების გაველით შეზღუდული გაღწევა პირობის-კოეფიციენტი წყლის შრისკენ.

საზოგადოებრივი წყაროების გაჩენა ცივწყლისწყლის ქვიან ხეობებში უნდა მივაწეროთ ორთქლის კონდენსაციის არსებობას (დღისით ტემპერატურა მაღალია, ქვედა ცხელია 50-მდე, ქარი უბერავს მთიდან ქვევით, დამით კი ცივა და ქარი უბერავს მთებისკენ). მაგრამ, მახის წყალი არის წყარო წყლის დიდი დეპოზიტი, რის გამოც ძნელია ამის ახსნა, მხოლოდ კონდენსაციით. წყლის შემკრები ბასენი ამ წყაროსი არის 5000-6000 ფუტი სიმაღლეზე და დეპოზიტი წაზე გამოდის 3000 ფუტი სიმაღლეზე (მაისის ბოლოდან აგვისტოს ბოლომდე). წყლის უმაღლესი დეპოზიტი აღინიშნება ივლისის თვეში დაახლოებით 200 ვერსო წუთში. ამ წყაროს ბასენის ქვის გროვების სიგრძე არის არანაკლებ 20 ვერსისა. გამოთვლებით 1 კვადრატული საგნი დეპოზიტში იძლევა 0.5 ვერსო საკონდენსაციო წყალს. ასევე თვლიან, რომ ცივწყლისწყლის მთების წყაროები იკვებებიან როგორც საკონდენსაციო წყლებით, ასევე მიწისქვეშა მყინვარებით. თოვლი და ვინდოვი ზამთარში 6-7 ათას ფუტი სიმაღლეზე ადვილად აღწევს კონგლომერატების სივრცეებში და იქ ინახება ზაფხულამდის. გარდა ამისა მყინვარები არ ჩანან და ისინი აქტიურად დნებიან ზაფხულის სიციხის დროს. ცივწყლისწყლის უღელტეხილზე სასმელი წყლის მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგან აქ მუდმივად მიდის ბრძოლა ტყესა და მდელის შორის. ეს პრობლემა ბევრ სოფლის მცხოვრებს აქვს, რომლებიც წყლის მოსატანად 2-3 მეტრ ვერსის სიშორეზე დადიან. მათ სარწყავი წყალი საერთოდ არა აქვთ.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ ადგილებში საქონლის ძოვება დიდ გავლენას ახდენს და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასხური ტყის ჭრა, ფოთლოვან ტყეებში, მთავრობის ადგილებში, ფერდობებზე საქონელი ანადგურებს მცენარეებს, რაც ახალი ხეებისა და უფსკრულების წარმოქმნას უწყობს ხელს, ამიტომ საჭიროა საქონლის ძოვა ტყეებსა და ფერდობებზე დაევიანოთ იყოს მინიმუმამდის. როგორც ცნობილია, ტყე აგრძობს და ინახავს წყალს, ასევე ინახავს ნიადაგს ჩარეცხვისაგან, განსაკუთრებით ამაღლებულ, უსწორმასწორო ნიადაგზე. ცივწყლისწყლის და მთები ირეცხებიან კოლონალური ზომებით, რასაც გარემო უზღუდურების ზომამდე მიაყვანს. როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის ფორმას, მასში მაღალი ხეები თუ ბუჩქნარია, ან ახალგაზრდა ხეები. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა ხეები უკეთესად იცავენ ნიადაგს და ინახავენ წყალს.“

(C.3. Курдиани. „Из лесов Циво-Гомборского гребета и речных долины Иора и Алазани“ Отчет по летней командировке. С. Петербург.


ჩანართი №1




1913წ: დღეს ყველა საგარეჯოელისთვის პრობლემას სასმელი წყლის დეფიციტი წარმოადგენს, რომლის მიხედვით „საგარეჯო-ჯორჯიას“ მიერ ჩატარებულ სამუშაოებთან ერთად, სხვადასხვა მიზეზებიც მოიპოვება. აი, რა გვითხრა საგარეჯოელმა თამაზ ქვლივიძემ, რომელმაც ყველაზე კარგად იცის საგარეჯოს სასმელი წყლის ქსელების მდგომარეობა:

– საგარეჯოს ჩრდილო-დასავლეთით



ჩანართი №2



ჩანართი №3



ჩანართი №4



მცხოვრები მოსახლეობა – ქურხელები, ქვლივიძეები და სხვები ე.წ. „საშვის წყაროდან“ გამომდინარე წყლით მარაგდებოდა. ეს არ იყო მცირე მოცულობის დასახლება, მაგრამ სასმელი წყლის გაირთიანად ზარჯავს ხელს უწყობდა მოსახლეობის მოთხოვნილებას დაკმაყოფილებას.

ე.წ. „ქურდაანთ ბასენი“ „სათავადან“ ზღვის დონიდან თუ შევადარებთ 50 მეტრით დაბლა იმყოფება, ამიტომ ამ აუზის სასმელი წყლით შევსება თვითდინებით ხდებოდა და ხდება. აღინიშნული „ბასენიდან“ სასმელი წყლით მარაგდებოდა და დღესაც მარაგდება ახლომდებარე ქუჩები, ასევე, რუსთაველის, მამისაშვილის ქუჩების მცხოვრებნი, რაც არცთუ ისე მცირე რაოდენობაა.

ე.წ. „რკინიგზის ცენტრალური ხაზი“ გაზაფხულზე, ზაფხულის პერიოდში, ნოემბრამდე არ ჩადიოდა „ბასენში“ და პირდაპირ მიმართულა, მით, მიღებით გადიოდა ზაზს მოსახლეობამდე გზას – თვალთხევიდან გამოსული მამისაშვილისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე (ე. ქურხულის ეზოდან) ბრუნდებოდა და მიდიოდა, ამა-რაგებდა და აღმაშენებლის ქუჩაზე განლაგებულ საცხოვრებელ კორპუსებს, ჭაჭაჭაბაძის, ალაზნის, თბილისის ქუჩებს, 100-იანი მილით ეჭუჭაბაძის უბანშიც გადიოდა. ჭაჭაჭაბაძის ქუჩიდან კახეთის ქუჩაზე ჩამავალი დღეს საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №5-თან (ყოფილი საბავშვო ბაგა-ბაბი №1) მერდებოდა.

მეორე – სათავიდან გამომდინარე ხაზი გაიფიქრა „თვალთხევის“ და სტალინის და კახეთის ქუჩების გადაკვეთაზე ე.წ. „ფორებს უბანზე“, სადაც „ფორებს წყაროც“ იყო, უფროდებოდა კახეთისა და ჭაჭაჭაბაძის ქუჩების გადაკვეთას. სტალინისა და მისი მიმდებარე ქუჩების, ჩიხების, შესახვევების პერპენდიკულარული ქუჩების მცხოვრებთა სასმელი წყლით მომარაგების ხაზი „ცენტრის ხაზი“ უწოდებენ, მას ადრე რკინიგზის №1 ხაზი ერქვა, რადგან რკინიგზის დასახლებაში ჩადიოდა ბოლოს ეს ხაზი 1914 წელს იყო გაყვანილი. ის ემსახურებოდა არა მარტო ზემოთხსენებულ ქუჩებსა და უბნებს, ასევე, დღევანდელი საგარეჯოს IV საჯარო სკოლის ადგილზე ყოფილი ინჟინტორის შენობას, მის მიმდებარედ ყოფილი მეფრინგელების ფერმას, დღევანდელი რეინის ქარხნის შენობას, რკინიგზის სადგურში განეგრებულ ორთქლანგების წყლით შევსების საქმეს – შემდეგ კი თანდათან, 1914 წლიდან აქ დასახლებაც გაჩნდა და მასაც სასმელი წყლით ამარაგებდა.

„სათავიდან“ იდრე სასმელი წყლის სამი ხაზი გამოდის: ე.წ. „გამგეობის ხაზი“, რომელიც ცენტრის ხაზზეა მიერთებული, „გაღმაუბნის ხაზი“ და ე.წ. „ფურნის (ყოფილი პურის ქარხნის) ხაზი“, რომელიც ყოფილი პროფილაქტიკის შენობის ქვევით დასახლებას ემსახურებოდა.

საგარეჯოში იყო ასევე ე.წ. ტექნიკური წყალი, რომელიც სათავის ბოლოში, 3 მეტრის სიღრმეში, 1 მეტრი დიამეტრის მქონე მილიდან ამოედინებოდა, ჩადიოდა წყლის შემკრები ბასენში და საგარეჯოში, სათავის ქუჩაზე მცხოვრებ სოსო კათუაშვილის სახლიდან გადმოდიოდა. ამ წყლით ყოფილი საგარეჯოს „პიეგინის სახლი“ (აბანი) მარაგდებოდა. შემდეგ ეს აღნიშნული ხაზი დაეთით აღმაშენებლის ქუჩის გაკვეთილ წიფლისხევის დასახლებისკენ გაიყვანეს (გორულაშვილებისა და ჭიბაბერაანთ უბნის ერთ ნაწილში). აღნიშნული წყალი ნაფური წყლებისგან იყო მიღებული, არ იქლოვებოდა და სწორედ ამიტომ ეწოდებოდა ტექნიკური. დღეს ეს წყალი აღარ არის...

„მახის წყალი“ „სათავის“ წყლის ჭარბი წყალი იყო, რომელსაც საგარეჯოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაღ-ბოსტნების და ვენახების („კონტაფეზე“) მოსარწყავად იყენებდა.

საგარეჯოსა და გორგოწმინდის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ე.წ. „ნასადგომარდან“ ამოქაბული წყალი დიდ სამსახურს უწყევდა. ეს


დასასარგლო

ადგილი აღინჯისა და გიორგიშინდის ბოლო- შიბა. იგი ცივის მითს, გიორგიშინდის, ანთოკის ხეების ნაქურთია. „ნასადგომარში“ წყალი თვით- დინებით ამოდის. 6 მტორი თავისი ტრანსფორ- მატორით ემსახურებოდა წყლის აქსეზს და ორი 225 მილიმეტრიანი მილით გიორგიშინდის სათ- ავეში 1000 ტონიან რეზერვუარში ადიოდა, საი- დანაც საგარეოში ე.წ. „კოპრომანთ უბანში“ გადადიოდა, ამასთან, მარაგდებოდა საგარეოში არსებული საცხოვრებელი კორპუსებიც.

ახლა რა ხდება? „ნასადგომარში“ მტორები, ტრანსფორმატორები წლების წინ გაიხარცა, წყალი თვითდინებით ისევ ამოდის, ოღონდ „ტა- ლახას“ გაველით მიდის და მოსახლეობა სარწყა- ვადლა იყენებს. არადა, ამ წყალს გიორგიშინდის საკმაოდ მოზრდილი დასახლების, საგარეოში ცენტრის აღმოსავლეთით მდებარე ქუჩების, უბ- ნების სასმელი წყლით მომარაგება შეუძლია.

„ნასადგომარში“ წყლის გაუქმებამ მოსახლე- ობის უდიდესი ნაწილი „სათავის“ წყლის ხა- ზებზე დამოკიდებული გახადა. უნებართვოდ თუ ნებართვით დაიხვედრა ჰაერგაბის ქუჩისა და სტალინის ქუჩაზე ჩამავალი სასმელი წყლ- ის მიღები. ეს პროცესი გასული საუკუნის 70- 80-იანი წლებიდან დაიწყო – ცივი, გემრიელი წყალი ვეღვას სახლებში შეჰყავდა. პროცესი 90-იანი წლებიდან გააქტიურდა, როცა „ნასა- დგომარში“ ხაზი ნელ-ნელა გაუქმდა - უშუქო- ბის, გულგრილობის, დაუცველობის, ეკონომიკური კრიზისის გამო.

გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნაც სასმელ წყალზე. „სათავეში“ მიმდინარე სეისმური სა- მუშაოების ჩატარების გამო არ არის გამორ- იცხული წყალმა გზა „იცივალის“. იქ არის თიხანარევი მიწა. თიხა, მოგვსენებათ, წყლის დამჭერია, მაგრამ თუ მიმართულა სწორი არ მიეცე, სადღაც გასაგვას იპოვის და საერ- თოდ დაიკარგება, თავად უშეგის თავს. წყალი ცოცხალი ორგანიზმია, მას თავისი ბუნება, ხასი- ათი აქვს. იყო დრო, როცა სათავეში ორხილიან კი არა, საერთოდ მანქანას არ უშეებდნენ, რათა



სასმელი წყალი — ტყე — „კანარგო-ჯორჯია“ და საბარჯოელები

ხმაურს და მექანიკურ სამუშაოებს წყლისთვის ბუნება არ შეეცვალა. და დღეს? იქ სეისმოსაძიე- ბო სამუშაოები ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით, წარმოიდგინეთ, რა შედეგებს გამოიღებს?!

სასმელმა წყალმა რომ დაიკლო, ეს ვეღვამ იცის და თვალსაჩინოა. აქ ადრე 1 წამში 45 ლიტრი თვითდინებით ამოდებოდა. ახლა საინ- ტერესოა ამ წყლის დებეტი.

არც ისა უარსაყოფი, რომ ტყე უმოწყალოდ გაიხეზა. წყლის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი რომ ესეცაა, ეს რეალობაა. ეკონომიურმა გას- აჭრამ ბევრ „აგხელას“ გზა გაუხსნა ტყის განგებვისაკენ... ბუნების კანონი და უცნაურობა ვეღვამ იცის — ხე კვრატს გამოიღებს თუ არა, პაიტიდან იღებს ტენს, შემდეგ შეიწოვს მიწა- ზე „სხეულში“ და წვეთ-წვეთებად გარდაქმნის ფესვების საშუალებით მიწაში უშვებს. შეიძლე- ბა უხეშად აგხსენი წყლის წარმოშობის პრო- ცესი, მაგრამ ეს რომ ასეა, ხომ რეალობაა?! ალარ არის ტყის მასივები?! — ალარც წყალია!!! ჩვენმა უსულგულოებმა, უგუნურობამ, აი, რა გამოიწვია — დაშრა, დაიკარგა „მახია“, ე.წ. „ოხიები შეიღებეს წყარო“, რომელიც არასოდეს შეებოდა — ნო- ემბრიდან ადარ გამოდის. არადა, გაზეთ „იფე- რიის“ 1875 წლის ერთ-ერთ ნომერში წერდნენ, რომ საგარეოში, ოხიები შეიღებეს ეზოში ამო- მაგისა წყალი არასოდეს წყდება, არ იმდერევა, რის გამოც ჩაიღურებინა კი ამოდოდნენ აქ აუზმდერეველი, ანკარა წყლის წასადგებად და ეს იმ დროსაც, როცა გაზაფხულის დასაწყისში, ვეღვა წყარო იმდერეოდა“.

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში სათა- ვის ტერიტორიაზე წყლის დებეტის „გაზრდის“ მიხინთ ჩატარებულმა სამუშაოებმა უარყოფითი შედეგი გამოიწვია — წყლის დებეტმა საგრძნო- ბლად იკლო, რის შემდეგაც სათავის ტერიტო- რიაზე ყოველგვარი სამუშაოების ჩატარება აი- კრძალა.

საგარეოში, მის მიდებარე სოფლებში სა- სმელი წყლის დაკარგვამ, დებეტის საგრძნო- ბლად შემცირებამ მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია. კვირა ისე არ ჩაივლიდა, მისისა და იენისში მოსახლეო- ბას გზა არ გადაეკეტა შპს „კანარგო-ჯორჯიას“ საბიურო ჯგუფისათვის — უკიდურესად მწვავე მოთხოვნით — არ შესულიყვნენ საგარეოს „სა- თავის“ ტერიტორიაზე და საბიურო სამუშაოები 300 მეტრის რადიუსით და უფრო მეტი მანძილ- ით გადაეკრანათ. თუმცა, სიმართლე ითქვას, ეს

ამ რუკის მიხედვით ჯერ კიდევ გასულ წელს „კანარგო-ჯორჯიას“ სპეციალი- სტები მუქი ფერით შემოსაზღვრულ ტერი- ტორიაზე (თავისივე სურვილით) არ შეი- დლოდნენ, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქონდა ამ „პირობას“, როცა წყლის დებეტმა არ- ამცთუ იკლო, წყალი საერთოდ დაიკარგა.


პროცესი ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულ- ზე, მარტში დაიწყო, როცა აქ საბიურო სამუშაოე- ბის ჩასატარებლად გერმანელი სპეციალისტები გამოიწვენენ. მათთვის საბიურო სამუშაოების ჩატარება თვით ბუნებრივი რესურსების სამინ- ისტროდან იყო ნებადართული და ოპერაციების წარმოების უფლება ერთი წლით უგრძელდებო- დათ (იხ. ჩანართი №1).

რაც შეეხება ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძ- ლვანელობის ოფიციალურად საქმის კურსში ჩაყენებას, ამას კი ეს დოკუმენტი ადასტურებს (იხ. ჩანართი №2).

„კანარგო-ჯორჯიას“ საბიურო ჯგუფის შე- მოსვლამ საგარეოს „სათავის“ ტერიტორი- აზე მიმდინარე წელსაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საპროტესტო აქციებში — არ შეეშ- ვათ საბიურო სამუშაოების ჩასატარებლად მუშა-ჯგუფები (ამ შემთხვევაში პოლიონელი სპეციალისტები) „სათავის“ ტერიტორიაზე, აქ- ტიურ მონაწილეობას იღებდა მოსახლეობა, სა- დაც სადღეღამისო მორიგეობაც კი დააწესეს. აღნიშნული მდგომარეობის შესახებ საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინ- ისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართა (იხ. ჩანართი №3).

ასევე მიმართა საქართველოს გარემოს დაცვი- სა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტა- მენტის კახეთის სამსახურს, — რომელმაც 2014 წლის 14 მარტით დათარიღებული წერილით შემდეგი პასუხი გასცა (იხ. ჩანართი №4).

საგარეოს, კერძოდ „სათავის“ ტერიტორი- აზე შპს „კანარგო-ჯორჯიას“ ხელმძღვანელო- ბამ სეისმური საბიურო სამუშაოები მისის ბოლო დეკადიდან გააგრძელა და საგარეოს მოსახლეობამ სასმელი წყლის სადღეისო და- კარგვის შიშით კვლავ განახლა საპროტესტო გამოსვლები. მიზეზიც არის - სასმელი წყლის დეფიციტი. ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტო- ში საგარეოელებმა საინიციატივო ჯგუფი შე- ქმნეს — ქ. საგარეოს ეკოლოგიური საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ინჟინ- ერ-მეტალურგი, ტექნიკურ მეცნიერებათა მაგ- ისტრი ალექსანდრე ჩაფიძე. კომისიის წევრები იყვნენ ეკოლოგები, გეოლოგები, მედიორატორი, იურისტები, მეტეოროლოგები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, სულ 18 კაცის შემადგენლობით. შეგახსენებთ, რომ კომისიამ ადგილზე შესწავ- ლა არსებული მდგომარეობა (საუბარი ეხებო- თვალთხევის შემქნებ აუზში ჩატარებულ სა- მუშაოებს) და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ არ შეიძლება საბიურო სამუშაოების ჩატარება, რადგან ეს სასმელი წყლის დაკარგვას გამოი- წვევდა. მაშინ კომისიის წევრების თქმითაც, შპს



„კანარგო-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა დათმო- ბაზე წამოვიდა და თვალთხევის წყალშემკრებ ხეობაში საბიურო სამუშაოების მოცულობა ჯერ შეამცირა, შემდეგ კი ამ ტერიტორიიდან საერ- თოდ გაივდა.

მაგრამ... საბიურო სამუშაოები როგორც აღვნიშნეთ, მისიდან კვლავ განახლდა და 40 დღე გასტანა — გერმანელი სპეციალისტების მიერ დაწესებული და შემდეგ „დათმობილი“ სა- მუშაოები ახლა პოლიონელმა სპეციალისტებმა გააგრძელეს, თუმცა, ეს უკვე საგარეოელების მიერ „ხელისშემშლელ პირობებში“. 27 ივნისს პოლიონელმა სპეციალისტებმა დაამთავრეს თა- ვიანით საბიურო სამუშაოები და საგარეოე- ლებს „დაგვემშვიდობნენ“, ოღონდ, რა ვაღიოთ ან რა სამომავლო გეგმები ექნებათ, ჯერ არ ვიცით...

შპს „კანარგო-ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი დევიდ რამზი 2014 წლის 30 მაისის წერილით საქართველოს გაერთიანებული წყ- აღმომარაგების კომპანიის დირექტორს არნიდ ცაბუტაშვილს აცნობებს (იხ. ჩანართი №5):

ბატონო არნიდ
შპს „კანარგო-ჯორჯიას“ გამოთქვამს მზადყოფნას აღმოფხვრას და გამოასწოროს ჩატარებულ სეისმურ სამუშაოებთან პირდაპირ დაკავშირებული წყლის ხარისხის დასან რაოდენობის ნებისმიერი სახით გაუარესება.

მიუხედავად ზემოთხსენებული გარანტიისა, შპს „კანარგო-ჯორჯიას“ პირველი ნაბიჯის სახით სურს საკუთარი პირობების სა- შუალებით აღმოვიჩინოთ დახმარება წყალ- მომარაგების კომპანიის ტერიტორიაზე არსე- ბული ნაკადულების განსაზღვრაში, რომლებიც გამოიღება სასმელ წყლად იმ შემთხვევაში, თუ შპს „კანარგო-ჯორჯიას“ სეისმური სამუშაო- ბი გამოიწვევს სამუშაო ტერიტორიაზე საგარ- რეოს წყლის მარაგის რაოდენობით დასან ხარისხობრივ გაუარესებას.

ხსენებულ დახმარებაში აგრეთვე იგულისხ- მება სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

შპს „კანარგო-ჯორჯიას“ სურს და ყოველთ- ვის გამოთქვამს სურვილს, გაზომოს და გა- მოასწოროს საგარეოს წყლის მომარაგებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ან მავნე მოქმედება“.

(სტილი დაცულია) მაგრამ საკუთარი პირობების დედად არ ჩანს“.

სახანძრო-სამაშველო სამსახური



სახანძრო თვალ- საზრისით გაზაფ- ხული ნაკლებად ცვეცხლსაშიშ პერიო- დადაა მიჩნეული. საერთო სტატის- ტიკით, ცვეცხლი ამ პერიოდში ნაკლებად ჩნდება, თუმცა ეს სრულიად არ გამოირიცხავს ამის შესაძლებლობას და ადამიანებს ხან- ძართან მიმართებაში კვლავაც სიფრთხ- ილისა და სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებს. ეს რომ ასეა, ამას ჩვენს მიერ ქვემოთ მოტ- ანილი მაგალითებიც უსვამს ხაზს.

საგარეოს მუნიციპალიტეტის სახან- ძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის მოადგილის ფრიდონ ბეკიაშვილის ცნო- ბით, ზაფხულის I თვე მუნიციპალიტეტში 10 ხანძრით აღინიშნა, რაც ძირითადად მო- სახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და პირადი ქონების ნაწილობრივი განადგურე- ბით დამთავრდა.

ხანძრის I შემთხვევა საგარეოში, კახეთის გზატკეცილზე დაფიქსირდა, — მოძველებული სადენების გამო იორმე-

10 ხანძარი და 30 გამოძახება

დანლოელი სახიდ მახიდოვის 07 მარკის ავტომობილის ძრავას ცვეცხლი გაუჩნდა. საბედნიეროდ, დროზე მისულმა მეხანძრეე- ბმა შეძლეს ხანძრის ოპერატიულად ლიკ- ვიდრება და პატრონს მანქანა დიდი და- ზიანების გარეშე შეუნარჩუნეს.

ადამიანები ძნელად წარმოიდგენენ, რომ შეიძლება მწვანე ბალახს და ნარგაო- ბას ცვეცხლი გაუჩნდეს, მაგრამ, ეს მოხდა საგარეოში „კოსტაფუხე“ მდებარე ფარ- ნაოზ კავთუაშვილის ვენახში, სადაც ვი- დაცის მიერ ცვეცხლთან გაუფრთხილებელ მოპერობას ხანძარი მოჰყვა. აქ ცვეცხლი აღვივლად მოველი სიცხისგან გამოიშრალ ბალახს და ვიდრე მეხანძრეები მის ჩასა- ქრობად მიადევდნენ, „მოასწრო“ 200 მ2-ზე მეტ ფართობზე მსხმოაირე ვენახის დაწვა.

მნახველს უსათუოდ შეპრავს მსხმოაირე ვენახის დაწვის მეორე ფაქტი სოფელ თოხლიაურის შესასვლელთან. აქ დღესაც შავად გამოიყურება თითქმის 3000მ2-ზე დამწვარი მსხმოაირე ვენახი. ეს ზარალი მისი პატრონისათვის გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ არა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მეხანძრეების დროული და ოპ- ერატიული მოქმედება. ამ ხანძრის ჩაქრო- ბაზე მათი ორი ეკიპაჟი მუშაობდა და ქარ-

იანი ამინდის პირობებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ცვეცხლს, მაინც შეძლეს მისი დროული ლიკვიდირება.

ეტეობა იენისში ხანძრისათვის „მიზანში“ ვენახები იყო და ამის შემდგომ ჩვენს მეხ- ანძრეებს დიდ ჩაიღურში, მემარნიშვილის ვენახსა და მიმდებარე ქარსაცავ ზოლში მოუხდათ ხანძრის ჩაქრობა, სადაც ცვეცხ- ლმა მაინც მოასწრო 200 მ2 ნარგავების დაზიანება. საგარეოელები მეხანძრეების ჩარევით მოლიანად განადგურებას გადაუ- რჩა ჯანდაგაშვილების ნაკვეთი გიორგიშ- მინდაში, პატარაქულში კი მოქალაქე გვარ- ლიანს ხანძრისგან დამხმარე სათავსოს გადარჩენაში დაეხმარნენ. ხანძრის გარდა ადამიანს სხვა ბევრი მოუფიქრებელი და გაუფრთხილებელი მოქმედებაც აქენებს ზიანს.

ტრაგიკულად დასრულდა ზემოქმედელი მძღოლის ქენქაშვილისთვის მორიგი რეი- სი ორმულანლოში. ეს პიროვნება მძიმე- წონიანი ავტოციკისტრნით მახუროს ეხიდე- ბოდა ობიექტზე, მაგრამ ივლისის იმ დღეს მანქანა გორაკზე ვეღარ მოერია ტვირთს, აღმართში ამოტრიალდა და ქვეშ მოიყოლა პატრონი. გარდაცვლილის ამოყვანაში ივა- გაცეს სახანძრო სამსახურის მუშაკებმა

ზაფხული და ხანძარი



გიორგი ასთავიშვილმა, ივანე თამაზაშ- ვილმა და გაიოზ ბეციაშვილმა. ამავე თვე- ში მათ კიდევ მოუწიათ სამი დაზარალებ- ბული ადამიანის ამოყვანა ავტოავარიაში დაზიანებული მანქანებიდან, რომელსაც პატარაქულის ბოლოზე გამავალ ავტო- ტრასაზე აქონდა ადგილი.

სულ იენისში საგარეოს მუნიცი- პალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშ- ველო სამსახურს 30 გამოძახება აქონდა. აქედან 10 ხანძარზე, ორი ავტოავარიის, დან- არჩენი სპეცდავალებებსა და დახმარებაზე გარდაბნის რაიონში.

ბ. ლაბაიშვილი

მედიცინა

ზაფხულის ინფექციები

მედიცინა



ენტეროვირუსული მენინგიტი, რომელიც ზაფხულს თან სდევს, ბოლო პერიოდში გააქტიურდა. მისგან თავის დაცვა ერთობ ადვილია, თუმცა ხშირად უზუსტულ ბელყოფილი ხდება მარტივი პირობების დაცვა. დღეს ამ დაავადების შესახებ და მის პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე სასაუბროდ **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ლევა ოთარაშვილი** მოვიწვიეთ.

ზაფხული კუჭ-ნაწლავისთვის ნამდვილი გამოცდაა. თუ საჭმელს შემთხვევით დაუბანელი ხელი წაატანე, შესაძლოა, მომდევნო რამდენიმე დღე ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდე: ან პირღებინებამ გაგაწამოს, ან დიარეამ, ან სულაც ორივემ ერთად. მაშინ, როდესაც მისი სხივები შინიდან გარეთ გვიხმოვენ, ასეთი უსიამოვნებებით თავის გატანჯვა ნამდვილად არ ღირს. მაშ, როგორ მოვიქცეთ, ზაფხული მშვიდად რომ გავატაროთ?

გავრცელებული აზრის თანახმად, ნაწლავთა ინფექცია ანუ ინფექციური დიარეა უმთავრესად ზაფხულდობით ხშირდება, რეალურად კი ამ პრობლემამ წლის ნებისმიერ დროს შეიძლება იჩინოს თავი. მას მრავალი მიკროორგანიზმი იწვევს, რომელთაგან წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად აქტიურდება. მაგალითად, ზამთრობით ნაწლავთა ინფექციები უმეტესად ვირუსებით – როტავირუსით, კალიცივირუსით, ასტროვირუსით, ადენოვირუსითა და სხვებით – არის გამოწვეული, წლის ცხელ პერიოდში – ბაქტერიებით: სალმონელათი, ეშერიხიათი, შიგელათი, კამპილობაქტერიით...

ბავშვთა ასაკში დიარეის ყველაზე გავრცელებული მიზეზი როტავირუსი გახლავთ. სტატისტიკური მონაცემებით, სამი წლისთვის პრაქტიკულად ყველა ბავშვს ერთხელ მაინც შეხვედრია როტავირუსული ინფექცია. დიარეის გამოწვევად ხშირად გვევლინებიან უმარტივესები, მათ შორის ამება, რომელიც გარემოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული პარაზი-

ტია. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 10% ამ პარაზიტით არის ინფიცირებული. ასევე გავრცელებული პარაზიტი გახლავთ ლამბლია.

ბაქტერიებით ინფიცირება უპირატესად საკვებისა და წყლის საშუალებებით ხდება. ამიტომაც არის, რომ ამ მიკროორგანიზმებით გამოწვეული ნაწლავური პრობლემები წელიწადის ცხელ დროს ხშირდება.

ნაწლავური ინფექციის გამოწვევი უმთავრესად ალიმენტური გზით გადაეცემა. გადაცემის ფაქტორებია წყალი, საკვები, მიკროორგანიზმებით დაბინძურებული ნივთები და ხელები. ინფექციის გადაცემის ამგვარ მექანიზმს ფეკალურ-ორალური ეწოდება.

ინფექციის წყაროა ინფექციის მწვავე ან ქრონიკული ფორმით დაავადებული ადამიანი, რეკონვალესცენტი (გამოჯანბრების პერიოდში მყოფი ადამიანი) და ბაქტერიამატარებელი (ე.წ. სუბკლინიკური ფორმით დაავადებული პირი). ეპიდემიოლოგიურად ანუ გავრცელების თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიში მსუბუქი ფორმით დაავადებული ადამიანია, რომელიც ჩვეულებრივი რიტმით აგრძელებს ცხოვრებას და აგრძელებს ინფექციას. რისკის ჯგუფს მიეკუთვნება სამედიცინო პერსონალი, რომელსაც პაციენტებთან უშუალო კონტაქტი აქვს.

ქალბატონო ლევა, საინტერესოა, რა ნიშნები იჩენს თავს ინტოქსიკაციის ან უბრალო ენით რომ ვთქვათ, მოწამელის შემთხვევაში?

ნაწლავური ინფექციისთვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი მრავალფეროვანია: ფაღარათი (მრავალჯერადი, თხიერი მასებით), ტემპერატურული რეაქცია, ტოქსიკოზი, რომელსაც შესაძლოა დაერთოს მუცლის ტკივილი (უპირატესად მოვლითი ხასიათისა), მეტეორიზმი, გულისრევის შეგრძნება, ღებინება, საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა.

ფაღარათი ანუ დიარეა ნიშნავს ნაწლავთა მოქმედებას დღე-ღამეში 3-4-ჯერ და მეტად, შედარებით თხიერი კონსისტენციის მოუნელებელი მასებით. წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ დიარეის ინფექციურ და არაინფექციურ ფორმებს, მიმდინარეობის მიხედვით კი მწვავესა და ქრონიკულს.

განსხვავდება თუ არა სიმპტომატიკით ერთმანეთისგან ვირუსული და ბაქტერიული წარმოშობის ინფექციური დიარეა?

საზოგადოდ, ნაწლავური ინფექციების კლინიკური სურათი გამომწვევსა და მოკიდებული ვირუსული ნაწლავური ინფექციისთვის დამახასიათებელია მოკლე, დაახლოებით 24-48 საათიანი საინკუბაციო პერიოდი, შედარებით მსუბუქი ცხელება, დაავადების დაწყება ღებინებით, რომელიც წელისებური დიარეით გრძელდება და ერთიდან 4 დღემდე გასტანს. იშ-

ვითია მუცლის ტკივილი, ხშირად თვითღიმპირებადია ანუ თავისთავად გაივლის. რაც შეეხება ბაქტერიულ ინფექციას, მისი საინკუბაციო პერიოდი შედარებით ხანგრძლივია – 6-დან 72 საათამდე, ზოგჯერ უფრო მეტხანს, 7 დღემდეც კი გრძელდება. ტემპერატურა ხშირად აღწევს 38-40 გრადუსს, თან სდევს მუცლის მოვლითი ტკივილი, ზოგჯერ – ტენეზმები, ფაღარათი ლორწოსა და სისხლის მინარევებით. ვითარდება ძლიერი სისუსტე.

ამგვარი განსხვავებები საშუალებას იძლევა, მკურნალობის ტაქტიკა ლაბორატორიული შედეგების მიღებამდე შევიმუშაოთ.

დიარეას საშიშ სიმპტომად არ მიიხსენებ, მაგრამ მაინც რამდენად დიდი ყურადღების გამოჩენა გემატებს ინფექციური დიარეის განვითარების დროს?

დიარეის უყურადღებოდ დატოვება არამც და არამც არ შეიძლება. მას მოჰყვება ძალზე საყურადღებო მდგომარეობა – გაუწყლოება ანუ დეჰიდრატაცია. ის ვლინდება წყურვილის შეგრძნებით, ლორწოვანი გარსების სიმშრალით, კანის ელასტიკურობის დაკვეთებით, შარდის შემცირებით, არტერიული წნევის დაკვეთით. გაუწყლოება განსაკუთრებით მძიმედ გადააქვთ I წლამდე ასაკისა და ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს. ბავშვთა ასაკში გაუწყლოების ნიშნები ასეთია: თავდაპირველად – მოუსვენრობა, შემდეგ – სისუსტე და ძილა და მივარდნა, ხმის შეცვლა, ჩახლუნა, თვალბუწის ჩავარდნა, წყურვილის გაძლიერება.

ასევე ძალზე საყურადღებო სიმპტომებია ფეკალურ მასებში სისხლიანი მინარევებისა და ლორწოს არსებობა, ძლიერი მუცლის ტკივილი, დიარეის გახანგრძლივება, მაღალი ტემპერატურა. სწორედ ამ სიმპტომების საწინააღმდეგე მკურნალობის დროული დაწყება აუცილებელი ნაწლავური ინფექციების დროს. მკურნალობის მთავარი პრინციპი რეჰიდრატაციის დროულად დაწყება გახლავთ. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი გართულებები.

რა პრინციპით ტარდება რეჰიდრატაცია? როგორ უნდა იყოს კვების რეჟიმი დიარეის დროს?

დაავადების მსუბუქი მიმდინარეობისას საკმარისია რეჰიდრატაციული ხსნარების, მაგალითად, აისოლის, რეჰიდრონის პერორალური მიღება მცირე ულუფებით. რაც შეეხება კვებას, სასურველია, პირველი ოთხი საათის განმავლობაში არაფერი ვჭამოთ, შემდეგ კი გადავიდეთ ე.წ. ინდიფერენტული პროდუქტების (კარტოფლის პიურე, ჩაი, ორცხობილა, ბრინჯის ფაფა, შემდეგ – ქათმის ან ხბოს მოხარშული ხორცი) მიღებაზე. თუ ახალშობილს ან ჩვილს ძუძუს ვაწოვებთ, ეს უთუოდ უნდა გავაგრძელოთ.

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორბანო ვერხვიანის აღმინისტრაციულ შენობაში მაღე სამედიცინო კუნძულის გახსნა, სადაც ოჯახის ექიმი ქეთი ბიბილოშვილი აქაურ მოსახლეობას მოემსახურება



